პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
პარასკევი
18
თებერვალი
№ 41
(16778)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვიესლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებს

17 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ბალევსკი; ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კომიტეტის თავმჯდომარე ნგუენ ქხან ტოანი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ჰ. კლარე; კუბის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. ტორესი; მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. შირენდაბი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ტშებიატოვსკი; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სოციალისტური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ფეოდორეანუ; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბ. ნ. ფედოსეევი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. ალდორი; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი შ. ციცეკა; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პ. ნ. ფედოსეევი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბ. ალდორი; ზოგადოებივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. გეორგიუ; რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი შ. ციცეკა; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. ალექსანდროვი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პ. ნ. ფედოსეევი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ი. სენტგოგოტაი; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე ი. კოფეშნიკი.

ამხ. ლ. ი. ალექსანდროვმა ილაპარაკა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების პირველი თათბირის მიმდინარეობაზე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობის განმტკიცებაზე, ზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ი. სენტგოგოტაი; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარე ი. კოფეშნიკი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების პირველი თათბირის მიმდინარეობაზე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობის განმტკიცებაზე, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეცნიერთა ერთობლივი მუშაობის ძირითად მიმართულებებზე. მან დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მუდმივი უურადღებისა და ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი საბჭოთა მეცნიერების განვითარებისადმი იჩენენ.

შეხვედრაზე გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

ზუბინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეტუმრნენ დელეგატები, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის მუშაობაში. სურათზე: საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. კურტანიძე, ადიგენის რაიონის მეკარტოფილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ბუჯაძე, ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ოშხერელი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. სარალიძე. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ჯოლია, რუსთავის ამწეთმშენებელი ქარხნის კონტროლიორი, სოციალისტური შრომის გმირი ა. სოგბოლევა, ზესტაფონის რაიონის არგვეთის სამკოთა მეურნეობის მევენახე ლ. არსენაძე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაიხუნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ხარაიშვილი, „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ჭელიძე, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი ვ. გელაშვილი, ორჯონიკიძის რაიონის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. კურტანიძე.

ფოტო: ბინზბურგის ფოტო.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოველისა, გულითადად მოგესალმოთ. მინდა მადლობა გადავუხადო ანატოლი პეტრეს-ძე ალექსანდროვს ინფორმაციისათვის იმ ერთობლივი მუშაობის შესახებ, რომელიც მოსკოვში გასწეიო.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო დიდად აფასებენ ნაყოფიერ ურთიერთობას, რომელიც საბჭოთა მეცნიერებასა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს შორის ვითარდება. მახსოვს უნგრეთში ყოფნის დროს — მაშინ წითელი ჩიპელის კოლექტივს შევხვდი — როგორღაც ვთქვი, როცა ზოციალისტური ქვეყნებიგან თანამშრომლობაზეა ლაპარაკი, აქ ძალთა უბრალო შეჯამება კი არა, გამრავლება ხდებაშეთქი. ეს მთლიანად ეხება მეცნიერულ ურთიერთობასაც. აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს უფართოეს, უმჯიდროეს თანამშრომლობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს რაციონალურად გამოვიყენოთ მეცნიერების უდიდესი შესაძლებლობები — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სამეცნიერო ხელისუფლებიშენებლობის განვითარების, სამეცნიერო ექსპერიმენტების ავტომატიზაციის დარგში თანამშრომლობის სრულყოფის შესახებ დიდ ნაყოფს გამოიღებს როგორც სამეცნიერო, ისე სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისით.

მმართველი კომუნისტური და შუშათა პარტიების ყრილობებმა დღის წესრიგში დააყენეს დიდი მასშტაბის ამოცანების გადაწყვეტა, რაზეც აქ ანატოლი პეტრეს-ძემ ილაპარაკა. ფაქტიურად ყველა მომძე სოციალისტური ქვეყანა ამჟამად მთავარ ყურადღებას უთმობს წარმოების ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ეს თავისთავად განსაზღვრავს მეცნიერების მზარდ როლს საზოგადოების ცხოვრებაში, ვ. ი. ლენინის მიერ დასახული იმ ისტორიული ამოცანის შესრულებაში, რომ მივაღწიოთ კაპიტალისტურ საზოგადოებასთან შედარებით უმაღლეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ უთმობს ყურადღებას საბჭოთა მეცნიერების განვითარებას. შედარებით ცოტა ხნის წინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საფუძვლიანად განიხილა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცომბირის განყოფილების მუშაობა. ეს არნიკანი შემთხვევითი არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში უკვე შეძენილია გარკვეული გამოცდილება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სხვებისათვის.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემია გამიზნულად წარმართავს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დასახმარებლად. უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივებმა ბევრი მოწინავე ტექნოლოგიური პროცესი, პრინციპულად ახალი საწარმოო მოწყობილობა შექმნეს. უკრაინელი მეცნიერები, რომლებიც გამჭოლად გეგმავენ ყველა სამუშაოს — მეცნიერული იდეებით დაწყებული და მისი პრაქტიკული განხორციელებით დამთავრებული — ცდილობენ არსებითად შეამცირონ მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ვადები.

გამოანგარიშებულია, რომ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მეცნიერების განვითარებისათვის დაბანდებული სახსრების ყოველი მანეთი დაახლოებით ხუთ მანეთ უკუგებას იძლევა. განა არ ღირს: მანეთს დაბანდებ — ხუთ მანეთს მიიღებ.

მეტად საინტერესო გამოცდილება აქვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცომბირის განყოფილებას. ამ განყოფილების ინსტიტუტები უშუალოდ არიან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ბევრ დარგთან, ბევრ მსხვილ საწარმოსთან. მათ შეიმუშავეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამები და თანმიმდევრულად ახორციელებენ მათ. ამჟამად აკადემიშნის გვერდით სამინისტროები ქმნიან 10 საკონსტრუქტორო ბიუროს (6 მათგანი უკვე მოქმედებს), რომელთა მუშობას კარგად ეხმარებიან მეცნიერები.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში ჩვენთან ყოველწლიურად ასობით და ათასობით მეცნიერული აღმოჩენა ინერგება. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს. დავჭერდი ერთს. უკრაინაში არის მორნოოსკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იქ მუშობს ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ვასილ ნიკოლაოს-ძე რემეესლო. ამ ინსტიტუტში გამოუვანილმა ხორცის ჯიშებმა ქვეყანას ფულად დაახლოებით მილიარდ 600 მილიონნი მანეთი მოგება მისცა.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების ყოველნაირად წახალისებასთან ერთად, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ორგანულად შევუხამოთ მას გამოყენებითი კვლევა, დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ აღმოჩენათა დანერგვა. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გასაგებია, რომ დიდი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტა ხშირად ბევრ დროს, მეცნიერთა კოლექტივების დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. მაგრამ რა დასამალია, მეცნიერების ცოცხალ ჯანსაღ ხეს უნაყოფო ხმელი ტოტებიც აქვს ხოლმე. ისეც ხდება, რომ კვლევა წარმოებს რომელიღაც სრულიად პერიფერიულ, ზოგჯერ კი სრულიად უნაყოფო მიმართულებებით.

ამიტომ, ვუბრუნდები რა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერებათა აკადემიის ცომბირის განყოფილების მუშაობის განხილვას, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებებში მოიწონა და მხარი დაუჭირა უკრაინელთა და რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის ინიციატივა, ორგანიზება გაუწიოს ინფორმაციისათვის ერთიანი სისტემის შექმნა. ეს ინიციატივა ეფუძნება ბევრ ფაქტორს. ეს ბევრ ადგილას, ბევრ ინსტიტუტში, ბევრ ადგილას ერთ-ერთ ამოცანად ისმის. ეს

რიო ვეგებებით ყრილობას

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

საქართველოს პროფკავშირები — ხუთწლედს!

ყოველ დღეს მოაქვს ცნობები სოციალისტური შეჯიბრების წარმატებების, რესაუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეებისა და კოლექტივების კარგიოტული თაოსნობების შესახებ, რომლებმაც წარმატებით დაიწყეს მეათე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებების შესრულება. ეს ცნობები არის რეზერვების ეფექტიანი და კომპლექსური გამოყენების, შეჯიბრების განვითარებისათვის, შრომის დისციპლინის გაუმჯობესებისათვის პროფკავშირულ ორგანიზაციათა დიდი მუშაობის შედეგი.

იმაზე, თუ როგორ წყდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური საკითხები, რა წარმატებებით ეგებებიან საქართველოს პროფკავშირები თავიანთ XVI ყრილობას, რა გეგმები აქვთ მომავალში, გვესაუბრებიან ყრილობის დელეგატები.

ლაპარაკობენ ყრილობის დელეგატები

მოწინავე პოზიციებზე

უკვე მეცხრე ხუთწლედის დამლევს ჩვენი ქარხანა მოწინავე პოზიციებზე გადავიდა. მოხდა თვისებრივი ძვრები კოლექტივის ცხოვრების ყველა რგოლში. ქარხანამ ზედიზედ თხუთმეტჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა. საწარმოთა შორის. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს შრომას, ქარხნის კოლექტივი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ყოველივე ეს კარგად მოგვარებული შრომის რეალური შედეგია.

წლითიწლობით, თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებებს, მაღალწაყოფიერი შრომის ნიმუშებს უჩვენებენ ჩვენი მოწინავეები — შიგმჩარხავი ალექსანდრე სუკაჩევი, მბეჭედელი ზაურ ბაგაური, ამწყობი ზეინალები იაკობ ბეზრიკიძე, შოთა ფირცხალავა და ივანე მანუკოვი, ხარატი ხუთრან გველესკაშვილი, ეხეხავი ნინო არტიომოვა, მღებავი ნორა ლალიევა, მღარავი სერგო ნაზარიკოვი და ბევრი სხვა.

დადგა რა მეათე ხუთწლედის შრომითს ვახტზე, მექანიკური საამქროს ავთანდილ ხარიტონაშვილის კომპლექსურმა ბრიგადამ იკისრა ვალდებულება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად 1977 წლის გეგმა შეასრულოს ათ თვეში, ბორგი გუბარევიჩის კომპლექსურმა ბრიგადამ გამოიჩინა ინიციატივა „პირადი მუშური დამღიდან — ბრიგადულისაკენ“. ეს თაოსნობები მოიწონეს პარტკომმა და პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა, რეკომენდებულია გავრცელებისათვის. მათი ფართო მხარდაჭერა საწარმოს კოლექტივს შესაძლებლობას მისცემს ვადამდე შეასრულოს მეორე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმა, სოციალისტური ვალდებულებანი ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულის, მასალების, სახელმწიფო სასხვრების მომჭირნეობის საკითხებსაც. ახლა დასანერგავად მზადდება პროდუქციის ხარისხის მართვის ლვოველთა სისტემა, რეგულარულად ეწყობა ხარისხის დღეები. შრომის ნაყოფიერების გადიდების კოლექტიურ შედეგებში ქარხნის მუშაკთა პირადი წვლილის შეფასების საშუალებად არჩეულია პროდუქციის წარმოებაზე შრომითი დანახარჯების მომჭირნეობის პირადი ანგარიშების ფორმა. ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ თვიეულმა ნარჩმშენებელმა სულ ცოტა 100 სამუშაო საათი დაზოგოს.

ქარხანაში გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო ზენორმატიული ნაშთების ლიკვიდაციისათვის. გავითვალისწინეთ და გავაუმჯობესეთ შრომის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტის გადმოტვირთვის დროს. მომჭირნეობისა და ყაირათიანობის მკაცრი რეჟიმის მეთხეთბით შარშან დაიზოგა დაახლოებით 100 ტონა ლითონი, 120 ტონა სპობი, 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. შემდგომ წლებში უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ. ქარხანა გამოუშვებს 35 პროცენტ ხარისხის სახელმწიფონიშნიან პროდუქციას. დასახულია და უკვე ხორციელდება ქარხნის ძირითადი საამქროებისა და დამხმარე სამსახურების რეკონსტრუქციისა და გაფართოების ღონისძიებანი საწარმოო ციკლის გაუჩერებლად.

პროფკავშირული ორგანიზაცია დირექციასთან, პარტკომთან ერთად უნარიანად იყენებს სოციალისტურ შეჯიბრებას, ყველა პირობას ქმნის, რათა კოლექტივმა ყოველნაირად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ზ. სარალიძე,

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი საზოგადოებრივ საწყისებზე.

მთავარია ხარისხი

1965 წელს მთელ რესპუბლიკას მოედო ახალგაზრდობის მოწოდება, რომელმაც ენგურის ჰიდროელექტროსადგური დამკვიდრებულ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდა აქ ასობით ჰაბუკი ენგურის ნაპირებზე გიგანტის ასაშენებლად. მათთან ერთად ვიყავი მეც. ჩვენ ვიწყებდით ახალ ცხოვრებას — საქართველოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ცხოვრებას.

გვირაბის გამყვანის ვაკაკიურ პროფესიას ვეუფლებოდი მაღალი მთის ჩითხეჯესის მშენებლობაზე. სწორედ იქ, 1948 წელს, მიველი ჰიდროშენებლის შრომითი ნათლობა. შემდეგ გავემგზავრე ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე.

ჰიდრომშენებლის ცხოვრება მომთაბარის ცხოვრებას ჰგავს, მაგრამ იგი რომანტიკული და საინტერესოა. სულ გზები და გზები... დღეს ერთ უბანზე ხარ, ხვალ — მეორეზე. როცა ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო — ბრიგადის ხელმძღვანელობა დამევალა. 1953 წელს ვიზეიმეთ ამ ჰიდროელექტროსადგურის ამშენებელ, მე კი ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გავწევიმდეგ ხრამჰეს-2... და ბოლოს ენგურის ჰიდროელექტროსადგური.

სუსხიანი ზამთრის მიუხედავად ახლა მშენებლობაზე გაცხარებული მუშაობაა — ყველაფერი კეთდება, რათა თაღოვანი კაშხალის სხეულში ჩავასხათ 1,5 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი. სამშენებლო კომიტეტი, რომლის წევრი მეც ვარ, მთელ კოლექტივს რაზმავს მშენებლობის ვადების შემცირებისათვის, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის საბრძოლველად. სამშენებლო კომიტეტის ინიციატივით ფართოდ ვიყენებთ მონტაჟის ჩქაროსნულ მეთოდებს, მშენებლობა გადაყვანილია ინდუსტრიულ რელსებზე.

ჩვენს მშენებლობაზე ნაყოფიერად მოქმედებენ ოპერატიული შტაბები, ხარისხის კომისიები, რომლებშიც შედიან სამშენებლო კომიტეტის წარმომადგენლებიც. გამდიდრდა პირველადი პარტორგანიზაციებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმები და მეთოდები სამეურნეო საქმიანობის კონტროლის, კადრების აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი მაღალ მოთხოვნებს უყენებენ კადრებს. გაითვალისწინა რა ეს, სამშენებლო კომიტეტმა გააძლიერა ალმზრდელობითი მუშაობა, იღვწის მშენებელთა მყარი კვალიფიკაციური კოლექტივების შექმნისათვის. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე რიგგულარულად ვაწყობთ რეზერვების საზოგადოებრივ დათვალიერებებს. გავაქტიურეთ მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, ნოვატორთა საბჭოები და ეკონომიური ანალიზის ბიუროების, დამრიგებლობის მოძრაობის მუშაობა.

დღეიდაგ სრულვყოთ მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებებს, ხარისხობრივი მაჩვენებლები მთავრი გახდა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს. ყოველივე ამას დადებითი შედეგები მოაქვს, გვეხმარება სრული ძალით მუშაობაში.

ო. ბლიაძე,

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მაღლივი კაშხალის მშენებლობის ხაზშენებლო სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

სიძნელეები არ გვაშინებს

გურჯაანი რაიონი საქართველოს უდიდესი მევენახეობის რაიონია. მრავალი ათასი ჰექტარი უჭირავს აქ ვაზს. დიდ მასივებზე გადაჭიმულა ალაზნიდან იორამდე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახებში. ვაზის მოვლა ადვილი საქმე არ არის. გამოანგარიშებულია, რომ აგროტექნიკის ყველა წესის შესასრულებლად მევენახე ყოველ ვაზთან სულ ცოტა სამი ათასჯერ უნდა მივიდეს. ამ კულტურის მოვლის დროს შრომის შემსუბუქებისათვის შეიქმნა სპეციალური ტექნიკა. მანქანები ხნავენ და ფარცხავენ მწკრივთშორისებს, შეაქვთ სასუქები, წამლავენ ვაზს, მაგრამ მაინც ადამიანის წილად ულევი სამუშაო მოდის და, რაც მთავარია, კარგად უნდა იცნობდე ნიადაგს, რომელზეც ვაზი ხარობს, იცოდე თვით მისი „ხასიათი“ და ამ თავისებურებების შესაბამისად მოუარო მას.

ორი წინა წლის სუსხიანმა ზამთარმა, გასული წლის გვალვამ და სეტყვამ ჩვენი რაიონის ვენახებს უდიდესი ზიანი მიაყენეს, დაიღუპა და დაზიანდა ათასობით ვაზი. პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მოკლე დროში დიდი სამუშაოები შეასრულეთ დაზიანებული ვენახების აღსადგენად, უზარმაზარი მასალის მოსაყვანად. იქ, სადაც ვაზი დაიღუპა, ახალი ჩავყარეთ, ხოლო დაზიანებულმა ვაზებმა ჩვეული მოსავლიანობა აღიდგინეს.

ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით ვიყენებთ მეჩხერ ნაკვეთებში ვაზის გადაწვენის მეთოდს და საჭირო სახეობრესაც მივაღწიეთ. ყოველმა ჰექტარმა ვენახმა მინერალური და ორგანული სასუქების გაძლიერებული დოზა მიიღო.

ჩემი ბრიგადა ახლა იმისათვის იღვწის, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელს ოთხ ათასი ცენტნერი სუფრის ყურძენი მოიწიოს.

„ვაზო, შვილივით ნაზარდო...“ მღერის ქართველი ხალხი. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ძველთაძველი და მარად ნორჩი ვაზი უხვმოსავლიანი იყოს, რომ თვითეული ვენახი ჩვენს შრომას ასკეცად ანაზღაურებდეს.

ნ. კეჟერაშვილი,

გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

სასიხარულო ცვლილებანი

ზესტაფონელი მეტალურგები ურიგოდ როდი ეშრომობთ. და გარჯაც გეფასდებოდა: გვყავს სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა პარლამენტის დეპუტატები, ასეულობით ლითონის მდნობელი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით...

ამ მხრივ სამდურავი კი გვეთქმის, მაგრამ გასულ წლებში ყველაფერი რიგზე არ გვქონდა შრომის დაცვისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მხრივ. შექმნილი მდგომარეობის შერიგება უკვე აღარ შეიძლებოდა. 1973 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ განიხილა საკითხი „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკთამსახურეთა სიბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების და მათი შრომის დაცვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ქმედითი ზომების განხორციელების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა. ამას წინათ გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე დადებითი შეფასება მიეცა გაწეულ მუშაობას.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა ბოლო სამი წლის მანძილზე. უწინარეს ყოვლისა, დიდი ყურადღება მიექცა შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებას. მეტალურგები და მთელი ქალაქის მშრომელები გაახარა № 1 საამქროში გაზსაწმენდი მოწყობილობის საექსპლოატაციოდ გადაცემამ. მართალია, იგი ჯერჯერობით სამ ღუმელს ემსახურება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყვეტილია. გთვალისწინებულია წლეულს მაისში შემოტანილ იქნეს გაზსაწმენდი ფილტრები დანარჩენი ღუმელებისათვის, მაგრამ მათ დასამონტაჟებლად საჭირო ნაგებობა ნელი ტემპით შენდება.

რეკონსტრუირებულ იქნა მეოთხე საამქროს ღუმელები. ამერიდან ისინი დახურული რეჟიმით იმუშავებს. გაზსაწმენდი მოწყობილობები დაონტაჟდა მეორე სანონმ საამქროშიც და გაუმჯობესდა შრომის პირობები.

შრომის დაცვასა და ტექნიკურ უსაფრთხოებაზე სისტემატურად ეწყობა კონკურსები, საუკეთესო წინადადებები შემოაქვთ რიგითს აღამიანებს. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს არა მარტო ტრავმულ შემთხვევებს, არამედ საავადმყოფო ფურცელზე მყოფთა რიცხვსაც.

მეტალურგებისათვის დიდი რაოდენობით არის გამოყოფილი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, ახლებურად მოაწყო მუშაობა ქარხნის სამედიცინო სამსახურის კოლექტივმა. იმდენი რამ გაკეთდა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, რომ ერთ საგაზეთო წერილში ჩამოთვლა შეუძლებელია. მობრძანდით, ნახეთ მეტალურგია ახალი ქალაქი კვალითში. სიცოცხლემ დაისადგურა მრავალსართულიან სახლებში. ბოლო სამ წელიწადს ახალმოსახლეობა იზრიმა 166-მა ოჯახმა. მიმზიდველია ლარიეთ სწორი ქუჩები, შენობათა სართულები სულ მაღლა მიიწევს, ეწყობა სკვერები, „გაზონები, აიგო ახალი მაღაზიები, „ვიხსნა საფოსტო განყოფილება. შენახული სალარო, აშენდა ახალი სკოლა 1.000 მოსწავლისათვის, ახლო მომავალში საექსპლოატაციოდ გადაეცემა საავადმყოფო-პოლიკლინიკა 120 საწოლით, წლეულს დაიწყება კეთილმოწყობილი საკვჭრო ცენტრის მშენებლობა.

ახლა აღარ ისმის მეტალურგთა საყვედურები კვების ბლოკის უხეირო მუშაობაზე. აიგო ერთი ახალი სასადილო 120 დასაჯდომი ადგილით. საამქროთა სასადილოებში დაიდგა თანამედროვე სამზარეულო მოწყობილობა, სამაცივრო დანადგარები, გაუმჯობესდა პროდუქტებით მომარაგება და მომსახურების კულტურა.

დასვენებისა და მკურნალობის ყველა პირობაა შექმნილი 50-ადგილიან მუშათა პროფილაქტორიუმში. მეტალურგთა შვილებისათვის ბაკურიანში აიგება სანატორიუმის ტიპის ბინანი ბანაკი. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა, უფრო მეტია კიდევ გთვალისწინებული. ამ ზრუნვას თვალდადებული შრომით უპასუხებენ საოუბილეო ვახტზე მდგომი ზესტაფონელი მეტალურგები.

რ. სხილაძე,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს მდნობელი.

ჩემი სიამაყე

მოკრძალებული პროფესია მაქვს, მაგრამ ვამაყობ — მე ხომ აქტიურად ვმონწილეობ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

ჩვენი კინოთეატრი მუდამ გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ამას ეალწევთ კინოხელოვნების კარგად მოგვარებული პროპაგანდის მეშვეობით. ხშირად მივდივართ ცალკეულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ვუჩვენებთ კინოფილმებს, ვსწავლობთ სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს.

ვამაყობ, რომ ამირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატად, ჩვენი კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირიდან დელეგატებად ხომ ისეთი ცნობილი ადამიანები აირჩიეს, როგორიც არიან მწერლები გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ოსიან ნონეშვილი, მარიკა ბარათაშვილი და სხვები. მათ მოვუწოდებთ — მეტი წერეთ ჩვენი შესანიშნავი ცხოვრების, საბჭოთა ადამიანების გმირული, შრომითი დღეების შესახებ.

ტ. გოგსაძე,

ქუთაისის კინოთეატრ „დამკვრელის“ კინომექანიკოსი.

თაოსნობებს — მძლავრი ფრთები

შარშან ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით სოხუმის სამკერვალო ფაბრიკაში დაინერგა პატრიოტული თაოსნობები, რომლებმაც სათავე საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შრომითის კავშირებში აიღეს. მაგრამ ამაზე როდი შევჩერებულვართ — ჩვენს წინაშე იშვა ერთი ძვირფასი პატრიოტული ინიციატივა. ეს გახლავთ თ. ბელთაძის მკერავთა მეთოთხმეტე ბრიგადის თაოსნობა ხაკლები მუშახელის გამოყენებით ცვლის დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულების შესახებ, რაც ხელს უწყობს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესებას. თვითონ ამ ბრიგადამ შარშან გეგმის გადამეტებით 2.631 ცალი ბავშვის კაბა გამოუშვა და წლიური დავალება 14 დეკემბრისათვის ვაანგარდა.

ბრიგადის თაოსნობას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის სხვა ქვეგანაყოფებმა, რაც წლიწადში 40 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციის გამომვების გარანტიას იძლევა.

ყოველთვის და ყოველმხრივ დავუჭერთ მხარს პატრიოტულ თაოსნობებს, რათა მათ სულ უფრო მძლავრად გაშალონ ფრთები.

ნ. დოროხინა,

სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის პროფკავშირის საფბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი.

საქართველოს კომუნისტი პრაქტიკულ საქმეებზე

ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის სახელი. კიროველები წლითიწლობით ზრდიან წარმოებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, ამცირებენ თვითღირებულებას. ამ საწარმოს კოლექტივის საქმიანობის სათავეში დგას პროფკავშირული ორგანიზაცია. საქარხნო კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის ფართო წარმომადგენლობითობა კოლექტიური ხელმძღვანელობის ამ ორგანოს საშუალებას აძლევს პარტიული კომიტეტის მუდმივი ზრუნვითა და დასმარებით მისწვდეს საწარმოს ცხოვრების ყოველ კუნჭულს, დროულად გაიგოს მასების ხმა და გამოუმაუროს მიმდინარე მოვლენებს.

სურათზე: მიმდინარეობს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც განიხილავს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების საკითხს.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

შარშან ახალ წელს დუშეთის რაიონელმა გაზეთმა ასეთი სტრიქონები მოუძღვნა ფასანაურის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ივანე მოთიაშვილს:

— შენ, ნოღაეთის ველებში,
ქარყინვას მკერდით უხვდები,
ცხვრის ფარას ველად
გაშლილსა,
შენ შვენი, შენვე უხდები.
ახალწლის ზეიმს გილოცავთ,
ნურახდროს ჩაგვიმუხლდები,
გვწამს გაამრავლებ ცხვარ-
ბატკანს, ხელს გაშლი,
გაგულუხვდები...

ამ ლექსის გამოქვეყნებიდან რაღაც ხუთიოდე თვე გავიდა და ივანე მოთიაშვილმა პირობა გაანღია — ახალი შრომითი გამარჯვებით დაუბრუნდა მშობლიურ მთებს. მაისის ბოლო რიცხვებში მისმა ფარამ ჯერის უღელტეხილი გადმოლახა და კავკასიონის მთებში გაიშალა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ივანესა და მის მეგობრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სამხედრო გზაზე, ქვეშეთის მინდორზე, გამარჯვებულ მწყემსებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება და ახალი წარმატებები მიულოცეს.

ივანე მოთიაშვილის ფარაში შარშან 1.150 ცხვარი ჰყავდათ, აქედან ნერბი 940 იყო. ფარის უფროსსა და დანარჩენ მწყემსებს ზრუნვა და მოვლა-პატრონობა არ მოუკლიათ ცხვრისათვის და შრომაც დაუფასდათ. ყოველ 100 ნერბზე 99 ბატკანი მიიღეს, ნაცვლად 85-ისა და თვითეულ ცხვარს 3,5 კილოგრამი მატყლი გაპარსეს, გეგმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამის ნაცვლად.

მოგეხსენებათ, რომ მეცხვარეობა კოლექტიური საქმეა და მასში მარტოხელა კაცს არაფერი არ გამოუვა. ივანესთან ერთად ფარას დღე და ღამ თავს დასტრიალებენ ალექსი მოთიაშვილი, ლადო ქავთარაძე, დავით ლაზიაშვილი, ლევან გვრიტიშვილი... ისინი თავდადებული შრომით ამრავლებენ საზოგადოებრივ პირუტყვს.

მალე ფასანაურელთა ფარები არაგვის რიყიანში გაიშალა, მაგრამ ივანეს და მის მეგობრებს შინ, მშობლიურ კერასთან შეიტრავა თვე რომ არ ყოფილან, აქ დიდხანს გაჩერება არ შეეძლოთ, რადგან ცხვარი ორიოდე კვირაში კავკასიონის მთებში უნდა აეყვანათ. ვინ მოთელის, რამდენჯერ იწვიმა და იქუხა ხევსურეთ-მთიულეთის იალაღებზე, რამდენჯერ დასველდა და გაშრა მამაპაპური ნაბადი, ლამეც ფხიზლად იყვნენ, სიზმარშიც კი ახსოვდათ, რომ ნადირსაც შეეძლო ცხვრის გაფუჭება და ორფეხა მგელსაც, სულ გაფაციცებული თვალი ჰქონდათ. ღამის მორიგეობიდან თავისუფალ დროს, აბრიალებულ კოცონთან რომ ისხდნენ, მწყემსები უცქერდნენ ქვემოთ ღრმა ხეებში შეფარებულ თავიანთ სოფლებს, რომლებიც ღამის კუნაპეტ სიბნელეში ელექტროლამპიონებით კაკაშებდა. ენატრებოდათ დიდი ხნის უნახავი ჯალაბი. ივანეს იქ, თავის სოფელში ეგულებოდა სამი სავეარელი არსება, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ, ყოველთვის მამის მოლოდინში იყვნენ. ივანე ხანდახან ხუმრობდა, საკუთარი შვილები ხეირიანად ვეღარც კი მცნობენო. მაგრამ რას იზამ, ასეთია მწყემსის ბედი.

საქვეყნო საქმეს კეთილად რომ ასრულებდე, უნდა გაიჭირვო კიდეც. თავისთავად არაფერი მოდის. მწყემსი ყველაფერს აიტანს, ბუნების კაპრიზებსაც და ოჯახიდან შორს ყოფნასაც, ოღონდ ცხვარი ეგულებოდეს კარგად. ცხვარია მწყემსის სიხარული და სიამაყე, მწყემსი ცხვრით არის ძლიერი, მეცხვარისათვის არ არსებობს იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე ცხვარ-ბატკნის ჩქამი და ხმაური, მათი ხელი და ფეხის ბაკუნი.

ივანე თითით საჩვენებელი კაცია მთელ მთიულეთ-გუდამაყარში. რით მოიპოვა მან საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული? რა თქმა უნდა, თავდადებული შრომით, საქმის გასაოცარი ერთგულებით. ტყუილად არ უხმობენ მას მთაში როგორც კაცურ კაცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში მუდამ კეთილი საქმეები უკეთებია. აბა ვინ დათვლის რამდენი ნერბი უდოლებია, რამდენი ბატკანი გაუხრდია თავისი მწყემსობის ოცდაათი წლის მანძილზე, რამდენი ხორცი, რამდენი მატყლი თუ ტყავი დაუგროვებია ქვეყნისათვის, რამდენჯერ დაუწაშქრავს ექვსასაკლოსმეტრიანი ტრასა ფასანაურიდან ნოღაეთამდე, რომელსაც მწყემსები თავიანთი ფარებით წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე ფარავენ. ამიტომაც არის მასზე ალალი სამშობლოს დიდი ჯილდო — ორი ორდენი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა.

ამას წინათ ივანე მოთიაშვილი საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. არც ეს ყოფილა შემთხვევითი ამბავი, მოწინავე მწყემსი ხომ აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეც არის. მისი თაოსნობით და მონაწილეობით ბევრი რამ გაკეთდა და ბევრიც გაკეთდება ხალხის კეთილდღეობისათვის. შორეულ ნოღაეთის ტრამალებში, თეთრ კუნძულებად მწყემსთა საცხოვრებლები რომ გიფანტულან და იქ ილიჩის ნათურები რომ კაშკაშებს, მწყემსები ცისფერ ეკრანს რომ ეყურებენ, ზოგიერთ ბინაში გაზი რომ გუზგუზებს, ამაში ივანე, მოთიაშვილის ღვაწლიც არის.

კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაცია ცდილობს, რომ ყოველმხრივ იზრდებოდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომ კოლმეურნეობის არც ერთ უბანზე არ ეყოს ულისცალნონ და ჩამორჩენილი.

ივანემ იცის, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვა ჩვენი პარტიის უზენაესი კანონია. ამ საქმეში დიდი ამოცანები ეკისრებათ პროფკავშირებს, კომუნისტმის სკოლას, რომლის აქტიური წევრი ივანეც არის.

...რაც უფრო შესტკივა კაცს გული საზოგადოებრივ ჭირ-ვარამზე, მით უფრო ეშმარიტი ადამიანია ის. ასეთია რიცხვს ეკუთვნის სახელოვანი თავჩობანი ივანე მოთიაშვილი, რომელსაც პარტიისა და ხალხის ერთგულება თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად გაუხდია.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ სპ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმზე ადრიანად

ზრდის, ფინსვლის ციფრები

□ **მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში მოეწყო და რეკონსტრუირებულია დაახლოებით 5 ათასი სავენტილაციო დანადგარი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სამუშაო ადგილების ჰაერის გარემო. ბევრი საწარმო, მათ შორის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, აღჭურვილია თანამედროვე მაღალეფექტიანი გაზსაწმენდებითა და მტვერსაჭერი დანადგარებით.**

□ **საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა რაციონალურად გამოიყენებინათ სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის გამოყოფს. ამ მიზნით ხუთწლედში 660 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. სხვადასხვა დახმარების სახით მშრომელებს გადაუხადეს 270 მილიონი მანეთი. ნაკლებად უზრუნველყოფილმა ოჯახებმა მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მიიღეს 60 მილიონი მანეთი.**

□ **განუხრელად იზრდება სანატორიუულ-საკურორტო მომსახურება, ტურიზმი და მშრომელთა, სტუდენტი ახალგაზრდობის, ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაცია. ამ მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში დაიხარჯა 35 მილიონ მანეთზე მეტი, რის შედეგადაც უფასო ან შეღავათიანი საგზურებით დაახვენა 3 მილიონამდე კაცმა.**

□ **მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საავადმყოფოები ათასობით საწოლით, პოლიკლინიკები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები. შეძენილია 30 მილიონი მანეთის ახალი სამედიცინო აპარატურა და ტექნიკა. რესპუბლიკაში ყოველ 10 ათას კაცზე მოდის 41 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 100 მუშაკი.**

□ **რესპუბლიკაში მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმულია 1,5 მილიონზე მეტი კაცი, რომელთაგან 700 ათასი პროფკავშირთა ექვსი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრია. მათ შორის ბევრია გამორჩეული სპორტსმენი — დაახლოებით 900 საერთაშორისო კლასისა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატია, 7 ათასზე მეტი კი — პირველთანრიგოსანი.**

□ **ამჟამად პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერების გამგებლობაშია 70 ზამთრისა და საზაფხულო კლუბი (16.595 ადგილით), 53 ბიბლიოთეკა, 56 კინოდანადგარი, 41 საესტრადო მოედანი.**

დიადი თაოსნობის სახელოვანი ტრადიციები

16 აპრილი კომუნისტური შაბათობა

ვლადიმერ ილიჩ ლენინმა პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს — მოაწყონ 16 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მუშაკებმა, კოლექტივებმა მოაწყვიდეს დედაქალაქის მშრომელებს მიაღწიონ ამ დღეს ჩინეული ხარისხის პროდუქციის რეკორდულ გამოშვებას, დიდ შრომის ნაყოფიერებას, იმუშაონ დაზოგული ენერგორესურსებით, ნედლეულითა და მასალებით.

16 თებერვალს „დიადი თაოსნობის“ სამშობლოში — მოსკოვის სახარისხებელი სადგურის ელექტროლოკომოტივო დეპოში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. სწორედ ამ მშრომელები შეიკრიბნენ ამამზადებელ საამქროში, სადაც ლოკომოტივს ლონეზენები: „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს — შეეასრულებთ!“, „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთეულს — მუშური გარანტია“, „კომუნისტური შაბათობის დღეს — შრომის უმაღლესი ნაყოფიერებას!“. სკკპ XXIII ყრილობის ახალგაზრდობის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლონის საბჭოს თავმჯდომარემ, ელმავლის მემანქანემ, სოციალისტური შრომის ორმაგ ვ. თ. სოკოლოვმა ამბანაკების სახელით მოუწოდა დეპოს ოლექტივს მაღალნაყოფიერი დაკვირვალური შრომით აღნიშნონ შაბათობა. ჩვენი კოლექტივი, — თქვა მან, ამ დღეს ამირებს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის, სადგურებში მატარებელთა შედგენის მთელი მუშაობა შეასრულოს დაზოგული ელექტროენერგიითა და დიზელის საწვავით, ხოლო მიღებული სახსრები გადაირიცხოს მეათე ხუთწლედის ფონდში.

მიტინგზე გამოვიდა გზათა მინისტრი ი. გ. პავლოვსკი. მან მადლობა გადაუხადა სახელოვან კოლექტივს მნიშვნელოვანი ინიციატივისათვის, ახალი შრომითი წარმატებანი უსურვა რკინიგზელებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის მშრომელები შეიკრიბნენ ვარცელ საწარმოო კორპუსში, რომელიც აგებულია იმ საამქროს ადგილას, სადაც ბეგრჯერ გამოსულა ვ. ი. ლენინი, მოკოპემ ვ. ი. ჟუზნეცოვმა, მეკარუსელე ხარატმა ვ. ა. ვიქტოროვმა, ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. დ. გაიდუკევმა, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ა. ვ. ტიუტიუკინამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ კოლექტივში შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის დაბადების დღე, სახელმწიფოსი, რომელიც წელს თვითს მე-60 წლისთავს დღესასწაულობს.

სადღესასწაულოდ არის მორთული ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის საინსტრუმენტო კორპუსი. მიტინგი გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ა. კრასილნიკოვმა. მოწინავე კოლექტივების წარმომადგენლებმა — ქედადი თუჯის სამსხმელო საამქროს მეყალიბეთა ბრიგადირმა ვ. გ. კუზნეცოვმა, პირველი მექანიკურ-საამწყობო კორპუსის უფროსმა ა. ა. ბოლშაკოვმა, გამმართველმა, საწნეხი კორპუსის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვალენტინა კირსანოვამ წინადადება წამოაყენეს ვ. ი. ლენინის დაბადების 107 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად 16 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა. მათ მოუწოდეს ქარხნის მუშაკებს იმუშაონ ამ დღეს უმაღლესი ნაყოფიერებით.

ამ დღეს გამართულ მიტინგებსა და კრებებზე კომბინატ „ტროსტროგორნაია მანუფაქტურის“, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნისა და ქარხანა „ნამგალის და ჩაქუჩის“, „კრასნი ბოგატირის“ გაერთიანების, კომბინატ „როტ-ფრონტის“, „მთავარმოსკოვკატრანსის“ № 1 ავტობაზის კოლექტივებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მოწაწილეობა მიიღონ კომუნისტურ შაბათობაში, ორატორებმა აღთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ კომუნისტური შრომის დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები კვლავ ცხადყოფენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას — შეასრულონ მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები. (საკლესი).

ფაქტები, პროგლემები

ს ა ქ ა ლ ე ს ი დ ა უ ცხ ო ე თ ი ს პ რ ე ს ი ს ს ა ქ ა ბ ე ნ ტ ო ებ ი მ უ შ ა ვ ებ ი ს ა

დიდი ოქტომბრის დღესასწაულობის შესახებ

ვარშავა, (საკლესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის შესახებ“. დოკუმენტში აღნიშნულია, თუ რა ღრმა გავლენა მოახდინა დიდმა ოქტომბერმა პოლონელი ხალხის ბედზე, ნათქვამია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის წარმატებული განვითარებისათვის მჭიდრო თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჩვენი პარტია, მუშათა კლასი, მთელი პოლონელი ხალხი აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს და ამით გამოხატავენ თავიანთ გულითად გრძნობებსა და უსაზღვრო მადლიერებას საბჭოთა მეგობრებისადმი, ნათქვამია დადგენილებაში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ხალხის ერთიანობის ფრონტს, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და კულტურულ დაწესებულებებს მოუწოდა შეიმუშაონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის პროგრამა.

კუბელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ვ. ი. ლენინის რჩეული ნაწარმოებების თორმეტტომეულის გაძოცემამ ესპანურ ენაზე. იგი საბჭოთა გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოუშვა.

სურათზე: ვ. ი. ლენინის შრომებს სტენდთან ჰავანაში ობიზპეს ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში.

საკლესის ფოტო.

არჩევნებისწინა მანევრები

კაირო. (საკლესი). ისრაელში ემზადებიან კნესეტის (პარლამენტის) არჩევნებისათვის, რომელიც 17 მაისს არის დანიშნული.

ახლანდელი საარჩევნო კამპანიისათვის დამახასიათებელია, რომ დაბნეულობა შეაქვთ ამომრჩეველებში. მინიპარტიული უთანხმოებანი, კონიუნქტურულ კოალიციათა შექმნა და დაშლა, მეტოქე პარტიათა შეხლა-შემოხლა — ასეთია ახლა ისრაელის რეალური პოლიტიკური ცხოვრება.

თუალში საცემია, რომ ჯერ კიდევ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ დაჯგუფებას, გარდა ისრაელის კომუნისტური პარტიისა, არ წამოუყენებია რამდენადმე დასაბუთებული არჩევნებისწინა პროგრამა, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში ომისა და მშვიდობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

მემარჯვენე ექსტრემისტული ბლოკი „ლიკუდი“, რომელსაც ულტრაშოვინისტი ბეგინი მეთაუროობს, დაეინებით მოითხოვს, რომ ისრაელმა განაგრძოს ყველა დაპყრობილი არაბული ტერიტორიის ოკუპაცია. სხვა ბურჟუაზიული პარტიები, მათ შორის მმართველი ეგრეთ წოდებული შრომის პარტია, ბუნდოვნად მსჯელობს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ზოგიერთი „ტერიტორიული კომპრომისი“ და საჭიროა თუ არა ისრაელის „უსაშიშრო“ საზღვრების „ზრდა“ ველყოფა, და ამით ცდილობს მიჩქმალოს ის ამბავი, რომ ი. რაბინის მთავრობა ფაქტიურად უარს ამბობს დაუბრუნოს არაბულ ქვეყნებს ოკუპირებული ტერიტორიები და ცხოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლება — დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნის უფლება. ისრაელის მთავრობა კვლევინდებურად წინააღმდეგია, რომ მუშაობა განაახლოს ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის საზავო კონფერენციამ, და ხელს უშლის პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობას ამ კონფერენციაში.

შრომის პარტიას შინაური წინააღმდეგობანი ღრღნის. 23 თებერვალს გაიმართება მისი ყრილობა, რომელიც გადაწყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს პარტიის ლიდერი — ახლანდელი პრემიერ-მინისტრი რაბინი თუ თავდაცვის მინისტრი პერესი.

ამ პარტიის ხელმძღვანელობის თვალსაჩინო წევრების იფლინისა და მინისტრ ოფერის სკანდალურმა ფინანსურმა ყალთაბანდობამ მნიშვნელოვნად შეარყია არჩევნებში „ლეიბორისტთა“ შანსები. ასეთ პირობებში საქმიანობას აკეთებენ „ლიკუდის“ ბლოკის მემარჯვენე ექსტრემისტული ელემენტები, ავრეთვე ისრაელში ცხობილი „ქორის“ გენერალ შარონის ახალი პარტია „მლომსიონი“. მათ პოლიტიკურ ფიზიონომიას საკმაოდ კარგად იცნობს ამომრჩეველი — არავითარი დათმობა არაბებს, შიმდგომი მილიტარიზაცია, აგრესიის პოლიტიკის განგრძობა.

ბურჟუაზიული პროპაგანდის ჰირფერობა

სტოკჰოლმი. (საკლესი). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი მოლიანობაში უნდა განვიხილოთ; მასში ჩამოყალიბებულია როგორც ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმები, ისე ადამიანის ძირითადი უფლებები, განაცხადა შვეციაში ორი დღის ვიზიტის დასასრულს გამართულ პრესკონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დ. სპაჩილმა. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია თვითეული ქვეყნის უფლება ჰქონდეთ თავისი საკუთარი სოციალისტური სისტემა და თავისი საკუთარი კანონები.

შეეხო რა შვეიცის მთავრობის კრიტიკულ გამონათქვამებს ჩეხოსლოვაკიაში არსებული მდგომარეობის გამო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა: უცხოეთის ყველა ქვეყნის მთავრობებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ საკმაოთ კომპეტენტურნი ვართ, რომ ჩვენი საკუთარი პრობლემები გადავწყვიტოთ და არ შევეწინააღდეთ ვისიმე ჩარევას ჩვენს საშინაო საქმეებში.

ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური პატიმრები არ არიან. 1968 წლიდან ჩეხოსლოვაკიაში კაცი არ დაუპატიმრებიათ პოლიტიკური მრწამსისათვის. ხოლო იმ ოთხმა, ხელი რომ მოაწერეს „ქარტია-77“-ს და ამჟამად დაპატიმრებულნი არიან, ჩვენი ქვეყნის კანონები დაარღვიეს.

ასეთთანამედროვე ჩეხოსლოვაკიელმა მოქალაქემ განაცხადა პროტესტი „ქარტია-77“-ის გამო. მაგრამ დასავლეთის პრესა ამაზე დუმილს ამჯობინებს. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ორპირული მორალი, რომელიც ბურჟუაზიული პრესის პირფერობას მოწმობს, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ დ. სპაჩილმა.

კრესპ ქაქსტურებს

მოწმე მოკლულია

ბერლინი. (საკლესი). ჩილეს ხუნტა არაფერს არ ერიდება, ოღონდ თავის სისხლიან დანაშაულობათა კვალი მიჩქმალოს. პინოჩეტის ფაშისტური რეჟიმის ახალ საზარელ ბოროტმოქმედებაზე წერს ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“.

ცნობილი ჩილელი სპორტსმენი რაულ ჩიკე, 1972 წლის მსოფლიო ჩემპიონი წყალქვეშა ცურაგაში, ფაშისტური პუტჩის შემდეგ იძულებული გახდა თავი დაენებებინა სპორტისათვის და გამოთხოვებოდა თავის ოცნებას, რომ უმაღლეს განათლებას მიღებდა. თავი რომ ერჩინა, მან წყალქვეშა ნადირობას მიჰყო ხელი.

ამა წლის იანვრის ერთ-ერთ დღეს რ. ჩიკემ წყნარი ოკეანის სიღრმეში აღმოაჩინა ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა სამარხავი ადგილი. მან იცნო იმ ჩილელ პატრიოტთა გვამები, რომლებიც ხუნტამ „უგზოუკვლოდ“ დაკარგულად გამოაცხადა.

შეძრწუნებული, რ. ჩიკე თავზარდაცემული ყვებოდა ამ საშინელი „ნაპოვნის“ შესახებ. და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა: რამდენიმე დღის შემდეგ 34 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავის სახლში მოკლული ნახეს.

„პრავდის“ ფურცლებზე

„პარტიას, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მტკიცედ სწამს, რომ ახალგაზრდობა, კომკავშირელები ახალ სახელოვან ფურცლებს ჩაწერენ კომუნისტური მშენებლობის მატიანეში“.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, რომ ყველგან ახალგაზრდობის ძალები მოვაბმიროთ ხუთწლედის აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ნათქვამია 16 თებერვლის მეთაურში. („კომპაკშირი — ხუთწლედს“), ასე იქცევა უკრაინის, ჩელიაბინსკის, ივანოვოსა და სხვა ოლქების ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია, როცა ახალგაზრდა მშრომელებს აქტიურად ეხმარენ პირადი და კოლექტიური გეგმების საფუძველზე წარმოების ტექნიკური განახლებისათვის აქტიურ მუშაობაში. სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესი ენიჭება როსტოველთა გამოცდილებას მექანიზატორთა საყოველთაო სწავლების ორგანიზაციაში, საქართველოს კომკავშირის მაგალითს, რომელმაც იკისრა. შეფობა ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მ.

ოუ ითუნის სანაპიროს გაუყვები ოქიდან, სადაც ივი ბდინარე მოსკოვის ერთვის, ერთ-ერთი ძველი კორპუსის ფრონტონზე აუცილებლად დაინახავ ამბრას „ატე-1“. ეს ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის პირველი ქარხანაა.

„ატე-1“ ქარხანა ცნობილია თავისი რიტმით. ეი უკვე ორა წელია იგი ზუსტად ვადაზე და ასი პროცენტით ასრულებს მომხმარებელთა ყველა ნაკვეთას.

როგორ მიაღწია ასეთ წარმატებებს საწარმოს კოლექტივმა? ალბათ ყველაზე უკეთ ეს ქარხანაში იცის შეჯიბრების ორგანიზატორმა — შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა ინჟინერმა კონსტანტინე ვასილის-ძე ლიაგუზოვმა. სწორედ ამაზე მოგითხრობთ ვ. პარფენოვის წერილი — „ქარხნის რგოლეთით“, რომელიც მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია რუბრიკით — „სიახლე შეჯიბრებში“.

როცა დღეს კანონიერი სიამაყით თვალს ვაკლებთ საბჭოთა ხალხის მიერ დიდი ოქტომბრის დროშით განვლილ გზას, წერს გაზეთის ფურცლებზე მწერალი გ. ბალლეტაკი, ვხედავთ, რაოდენ ბევრია ამ გზაზე ხახელოვანი ნიშანსვეტი, რამდენი რამ გაკეთდა ამ მოკლე ისტორიულ დროში მშრომელი ადამიანის სულიერი ამაღლებისათვის, რომელიც თავისი ბედის სრულფასებიანი ბატონ-პატრონი გახდა. ყოველივე ეს ჩვენია, სიმდიდრეა, რომელიც ძალას გვმატებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაზეთმა გუშინდელი ნომრიდან შემოიღო ახალი რუბრიკა — „გზა, საუკუნეებს რომ ეძრნის“. ნომრიდან ნომერში მკითხველი გაეცნობა ამ სამოცი წლის მანძილზე ჩვენი ხალხის მიერ გმირული შრომათა და ბრძოლით გამოვლილ სახელოვან გზას.

გუშინდელ ნომერში მოთხრობილია ჩვენი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიურ ბაზაზე.

მარშალმა ჯილდოები გადასცა

(დასასრული).

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ თავდაცვითი საზოგადოების ნახევარი საუკუნის იუბილეს ზეიმობთ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს და თქვა, რომ საქართველოს დოსაააფელთა ორგანიზაციებში ამჟამად 2 მილიონი კაცია გაერთიანებული. 1972 წელთან შედარებით სპორტსმენთა რიცხვი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და ახლა მათი რიცხვი 700 ათასს შეადგენს, მათ შორის არიან მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შენდება ახალი სპორტული ბაზები.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებების შედეგებით საქართველოს დოსაფმა მეორე ადგილი დაიკავა. ვ. ნ. ჯანჯღავამ გამოთქვა რწმენა, რომ საზოგადოება კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

ოუბილარებს გულთბილად მიულოცეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის პირველმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ა. მ. სალტიკოვმა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხ. ხარებდიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. გ. ბაქრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა წაიკითხა ბრძანებულება რესპუბლიკის დოსაააფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ და ეს ჯილდო ვ. ნ. ჯანჯღავას გადასცა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

საგჭოთა მეცნიერი გულგარეთის აკადემიის ფევრია

17 თებერვალს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთის წევრის დიპლომი გადასცეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვს. დიპლომი გადასცა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ბალევსკიმ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს ორი ქვეყნის სამეცნიერო კავშირის განმტკიცებას. (საკლესის კორ.).

„ლაიფციგი-77“

თბილისი. კინოს სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ლაიფციგის 1977 წლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობას.

პრეს-კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საგარეო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. ელიგულაშვილმა. გამოვიდნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენელი კ. ენკელმანი, ლაიფციგის ბაზრობის გენერალური დირექტორი ფ. ვოზნაკი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირი ლაიფციგის ბაზრობის კვლავ ყველაზე დიდი ექსპონენტია.

თქვენი ქვეყნის ექსპოზიციაში, აღინიშნა გამოსვლებში, დამჯერებლად არის ასახული განვლილი ექვსი ათწლეულის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის მიღწევები. ამ ექსპოზიციაში, რომელიც სოციალისტური ინტეგრაციის ფარგლებში ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია, საბჭოთა პაციენტის დამოუკიდებელ განყოფილებად წარმოდგენილი იქნება საქართველოს სს რესპუბლიკა. აქ ძირითადი სამრეწველო ექსპონატების გარდა ნაჩვენები იქნება ბრინჯაოსა და ვერცხლის მხატვრული ნაწარმი, პარფიუმერიის ნამუშევები, განთქმული ქართული ღვინოები და კონიაკი, ქართული ჩაი.

პრეს-კონფერენციის დასასრულს მისი მონაწილეები ეწვევნენ გამარჯვების პარკს, სადაც ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. (საქინფორმი).

გამოფენა ვილნიუსში

ვილნიუსი. 16 თებერვალი. დღეს აქ გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს მაატვართა ნამუშევრები — სპექტაკლების დეკორაციების ესკიზები, თეატრალური მაკეტები, კოსტიუმები, და სხვ. გამოფენა მოწმობს სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ახალ საშუალებათა ფართო ციებას, მაგალითად, ლენინგრადელებს ამ მიზნით ოსტატურად გამოუყენებიათ ლითონპლასტიკა, ლატვიელებს — კინომასალა. (საკლესი).

საბჭოთა მეცნიერი გულგარეთის აკადემიის ფევრია

17 თებერვალს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოეთის წევრის დიპლომი გადასცეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვს. დიპლომი გადასცა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ბალევსკიმ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს ორი ქვეყნის სამეცნიერო კავშირის განმტკიცებას. (საკლესის კორ.).

პარლამენტის არჩევნები დანიაში

კოპენჰაგენი. (საკლესი). აქ გამოქვეყნდა დანიის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების წინასწარი შედეგები. არჩევნების შედეგად პოზიციები განმტკიცა მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ფოლკეტინგის ახალ შემადგენლობაში 65 მანდატს მიიღებს 179-დან. (წინა შემადგენლობაში დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 53 მანდატი ჰქონდა). ქვეყანაში გაშლილი ანტიკომუნისტური კამპანიის მიუხედავად, დანიის კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა წინანდელი ადგილები — ფოლკეტინგში მშრომელთა ინტერესების წარმომადგენელი იქნება 7 კომუნისტი დეპუტატი. დანიის კომუნისტური პარტიისაგან ახლად არჩეულ დეპუტატთა შორისაა პარტიის თავმჯდომარე ჯ. ისპერსენი.

ორი წლის შესვენების შემდეგ დანიის პარლამენტში კვლავ იქნება წარმოდგენილი სამართლებრივი კავშირის პარტია, რომელიც საერთო ბაზარში ქვეყნის შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგ იბრძვის. სამართლებრივი კავშირი ფოლკეტინგის ახალ შემადგენლობაში 6 მანდატს მიიღებს.

არჩევნებში სერიოზულად დამარცხდნენ მსხვილი ბურჟუაზიული პარტიები — ვენსტრე და რადიკალური მემარცხენე პარტია.

ოკუპანტთა რეპრესიები

ამანი, (საკლესი). მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელი ოკუპანტები კვლავ აძლიერებენ მოსახლეობის ფიზიკურ მოსპობას. აი უკვე რამდენიმე დღეა ზედიზედ ჩხრეკადაპატიმრებანი წარმოებს ნაბლუსში, ქებრონში, რამალაჰში. ისრაელის უშიშროების ძალებმა და პოლიციამ „პრეულობის წამომწყებთა“ გამოვლენის საბაბით ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს არაბული მიწების ოკუპაციის წინააღმდეგ ამასწინანდელ საპროტესტო დემონსტრაციათა მონაწილეებზე. ასობით არაბი, ძირითადად ახალგაზრდობა, ხაპყრობილეებში ჰყავთ დამწყვდეული. მათ უმრავლესობას წაყენებული აქვს სტანდარტული ბრალდება — პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან კავშირი.

ტელეტაიპის ლენტიდან

საკლესი

ეცნობიან დიდი ინტერესით

● ჰავანა. დიდი ინტერესით ეცნობიან დედაქალაქის რევოლუციის მუზეუმის დამთვალიერებლები ახლახან აქ გახსნილ 7 ახალ დარბაზს. აქ შეგროვებულია ექსპონატები, რომლებიც ასახავენ კუბის ისტორიის კოლონიურ პერიოდს თეორი დამპყრობლების წინააღმდეგ ინდიელი ტომებას გამოსვლებით დაწყებული და დამოუკიდებლობისათვის ომით დამთავრებული. ორი დარბაზი ეძღვნება კუბელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილ მგრიებს ანტონიო მასეოსა და მაქსიმო გომესს, რომელთა ხელმძღვანელობით აჯანყებულ გლეხთა რაზმები იბრძოდნენ ესპანელი კოლონიზატორების ჯარების წინააღმდეგ.

პრეზიდენტის არჩევნები სუდანში

● ხართუმი. სუდანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ამომრჩევლების რეგისტრაცია რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისათვის. სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კანდიდატად კვლავ სუდანის ახლანდელი პრეზიდენტი ჯ. ნიმეირი არის დასახელებული.

ვერ შეთანხმდნენ

● ბრიუსელი. აქ დამთავრდა „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრთა მორიგი სესია, რომელზეც მისი მონაწილეები ვერა და ვერ შეთანხმდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდი ფასების განსაზღვრის საკითხში.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟ. ბონემ უკმაყოფილება გამოთქვა დაბალი ფასების გამო, რომლებიც იტალიამ დაწესა თავის ღვინოზე. ეს მიჩი სიტუვით, ძირს უთხრის ფრანგული მეღვინეობის პოზიციებს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

● ლუანდა. კონგოს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ს. ოკამბეს მეთაურობით კონგოს სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ანგოლის დედაქალაქში ვიზიტის შედეგად ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში ანგოლისა და კონგოს თანამშრომლობის შესახებ.

ბულგარეთის ხალხთა მეგობრობის ორდენი

ბერლინი. (საკლესი). ჩილეს ხუნტა არაფერს არ ერიდება, ოღონდ თავის სისხლიან დანაშაულობათა კვალი მიჩქმალოს. პინოჩეტის ფაშისტური რეჟიმის ახალ საზარელ ბოროტმოქმედებაზე წერს ბერლინის გაზეთი „დოიჩეს შპორტეხო“.

ცნობილი ჩილელი სპორტსმენი რაულ ჩიკე, 1972 წლის მსოფლიო ჩემპიონი წყალქვეშა ცურაგაში, ფაშისტური პუტჩის შემდეგ იძულებული გახდა თავი დაენებებინა სპორტისათვის და გამოთხოვებოდა თავის ოცნებას, რომ უმაღლეს განათლებას მიღებდა. თავი რომ ერჩინა, მან წყალქვეშა ნადირობას მიჰყო ხელი.

ამა წლის იანვრის ერთ-ერთ დღეს რ. ჩიკემ წყნარი ოკეანის სიღრმეში აღმოაჩინა ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა სამარხავი ადგილი. მან იცნო იმ ჩილელ პატრიოტთა გვამები, რომლებიც ხუნტამ „უგზოუკვლოდ“ დაკარგულად გამოაცხადა.

შეძრწუნებული, რ. ჩიკე თავზარდაცემული ყვებოდა ამ საშინელი „ნაპოვნის“ შესახებ. და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა: რამდენიმე დღის შემდეგ 34 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავის სახლში მოკლული ნახეს.

მეგვიდობის პროგრამა მოქმედებს

საარბრიუკენი, თბილისის მოედანი

დასავლეთ გერმანიის საარის მეზარის დედაქალაქის საარბრიუკენის ოფიციალურ ცნობარებში მალე შეტანილ იქნება შესწორება: ერთ-ერთ მოედანს ქალაქის ცენტრში საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის სახელი დაერქმევა. მდინარე საარის გრანტის სსრ-პიროს გაყოლებით გაშლილი ანტიკომუნისტური კამპანიის მიუხედავად, დანიის კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა წინანდელი ადგილები — ფოლკეტინგში მშრომელთა ინტერესების წარმომადგენელი იქნება 7 კომუნისტი დეპუტატი. დანიის კომუნისტური პარტიისაგან ახლად არჩეულ დეპუტატთა შორისაა პარტიის თავმჯდომარე ჯ. ისპერსენი.

ორი წლის შესვენების შემდეგ დანიის პარლამენტში კვლავ იქნება წარმოდგენილი სამართლებრივი კავშირის პარტია, რომელიც საერთო ბაზარში ქვეყნის შემდგომი ინტეგრაციის წინააღმდეგ იბრძვის. სამართლებრივი კავშირი ფოლკეტინგის ახალ შემადგენლობაში 6 მანდატს მიიღებს.

არჩევნებში სერიოზულად დამარცხდნენ მსხვილი ბურჟუაზიული პარტიები — ვენსტრე და რადიკალური მემარცხენე პარტია.

ოკუპანტთა რეპრესიები

ამანი, (საკლესი). მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელი ოკუპანტები კვლავ აძლიერებენ მოსახლეობის ფიზიკურ მოსპობას. აი უკვე რამდენიმე დღეა ზედიზედ ჩხრეკა-დაპატიმრებანი წარმოებს ნაბლუსში, ქებრონში, რამალაჰში. ისრაელის უშიშროების ძალებმა და პოლიციამ „პრეულობის წამომწყებთა“ გამოვლენის საბაბით ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს არაბული მიწების ოკუპაციის წინააღმდეგ ამასწინანდელ საპროტესტო დემონსტრაციათა მონაწილეებზე. ასობით არაბი, ძირითადად ახალგაზრდობა, ხაპყრობილეებში ჰყავთ დამწყვდეული. მათ უმრავლესობას წაყენებული აქვს სტანდარტული ბრალდება — პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან კავშირი.

მსოფლიო ფორუმის ექო

დროის კარნაზით

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო ფორუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი იოსებ ნონეშვილი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა მას და ესაუბრა.

— დღეს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მშვიდობა, — გვითხრა მან, — ხალხთა თანამშრომლობა, დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის ბრძოლა. სოციალური პროგრესი მთელი კაცობრიობის წმიდათაწმიდა მისწრაფებაა. მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის ფორუმის ყურადღების ცენტრში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და შემდგომი განვითარების საკითხები იდგა. აქ შეიკრიბნენ 120 ქვეყნის 70 საერთაშორისო და 250 ეროვნული ორგანიზაციის წევრები. ფორუმზე სხვადასხვა ეროვნების, პოლიტიკური მრწამსის, სოციალური მდგომარეობის, რელიგიური რწმენის ადამიანები ჩამოვიდნენ, ჩამოვიდნენ სრულიად ევროპის ჰელსინკის თათბირის ზაღალი სულისკვეთებით შთაგონებულნი. ფორუმის მონაწილეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მინისტრები, პარლამენტარები... სასიამოვნოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მშვიდობის ამ დიდ თავყრილობაზე სუფევდა ერთსულოვნება, კეთილშობილური ბრძოლის წყურვილი, რათა მთელ დედამიწაზე მშვიდობამ გაიმარჯვოს.

წელად მზდა: საპატიო მისია— ამ ფორუმზე ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარე ძალები წარმოშედგნა. საბჭოთა კავშირიდან მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა, მხოლოდ სამი რესპუბლიკის— უკრაინის, ლატვიისა და საქართველოს წარმომადგენლები ვესწრებოდით. აქ შეჯამდა ფართო დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური პლატფორმით ერთობლივი მოქმედების შედეგები. ფორუმზე „გამოსულნი შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ დაძაბულობის შენელების შემდგომ განვითარებას საფრთხეს უქმნის გამალებული შეიარაღება, აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ინიციატივა მშვიდობის საკეთილდღეოდ, კოლონიალიზმის ლიკვიდაციისათვის, განიარაღებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინოა და ყველა კეთილი ნების ადამიანის ძალაულ შეფასებას იმსახურებს. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს საყოველთაო მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის საკითხები.

შეხვედრის მონაწილეებმა შექმნეს შუამავი ორგანო — მშვიდობისმოყვარე ძალების ურთიერთობის საერთაშორისო ფორუმი. მისი პრეზიდენტი გახდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რომეშ ჩანდრა.

ყველა ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებამ ფორუმის მონაწილეებისადმი.

მშვიდობისმომხრეთა თავყრილობაზე ბევრ ჩემს მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს შევხვდი, მათ შორის სენეგალის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის წევრებს, რომლებიც ფორუმის შემდეგ საქართველოში მოვიწვიეთ. აქ ვნახე ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, საზოგადო მოღვაწე ანიზ შარიფი, მონგოლი მწერალი და სრულიად მონგოლეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჩიმიდი და ბევრი სხვა მეგობარი.

დიდი და საპატიო მისია აკისრია საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტს, რომელიც ორსებობის საუკუნის მეოთხედზე მეტს ითვლის.

აღნიშნული კომიტეტი მეტად საპატიო და კეთილშობილურ საქმეს აკეთებს. ახლახან სტოკჰოლმის მოწოდებას ჩვენი რესპუბლიკის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ მოაწერა ხელი. ამით ნათლად გამოვლინდა ჩვენი ხალხის ურყევი ნება — დიმყარდეს მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე.

ამ დღეებში გაიმართება პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განვიხილავთ მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის მსოფლიო ფორუმის შედეგებს, დაესახავთ ახალ ამოცანებს.

წლის ბოლომდე განზრახულია გამოვიდეს ქართველი პოეტების ლექსები, მიძღვნილი მშვიდობის თემისადმი, რომელთა ავტორები ჰონორარს მშვიდობის ფონდში გადარიცხავენ.

მისასალმებელია ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მზიურის“ კეთილშობილური გადაწყვეტილება — მათ საკავშირო კომკავშირის პრემის მთელი ფულადი ჯილდო მშვიდობის ფონდს გადასცეს. ასეთი მაგალითები მრავალია.

ქართველმა კაცმა კარგად იცის მშვიდობის ფასი. იგი ძნელბედობის ქამს ცალი ხელით გუთანთან იყო ჩაჯიდებული. მეორეთი კი ხმალი ეჭირა. დღა მშვიდობას უსურვებდა მოკეთეს...

მშვიდობა ჩვენი მშობლების უზარუნველი სიბერეც არის და ჩვენი შვილების ნათელი მომავალიც. ამიტომაც თვითეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მსოფლიოს ცა ულრუბლო იყოს.

* * *

სურათზე: პოეტი ი. ნონეშვილი და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი რ. ჩანდრა.

ვლ. პროხინის ფოტო.



„სპკურორტპროექტის“ საქართველოს განყოფილების (უფროსი ზ. ლომთათიძე, მთავარი ინჟინერი გ. ერისთავი) დანიშნულებაა რესპუბლიკის კურორტთა სანატორიული კომპლექსების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სამკურნალო შენობების, დამზმარე ობიექტების მშენებლობისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოთა დაპროექტება.

განყოფილების შექმნიდან ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის კურორტები ამ განყოფილების პროექტებით აშენებულმა ბევრმა ნაგებობამ დაამშვენა; მათ შორის ყურადღებას იქცევს ლიკანის 500-საწოლიანი სანატორიუმი, გაგრის 50-ადგილიანი შენობა, ბორჯომის პლატოს პანსიონატის რეკონსტრუქცია და კლუბ-სასადილო.

მშენებლობის პროცესშია ბორჯომის 500-ადგილიანი სანატორიუმი „მთის ხეობა“, ქობულეთის 928-ადგილიანი დასასვენებელი სახლი, ნაბეღლავის 500-ადგილიანი სანატორიუმი, ნაბეღლავის 250-ადგილიანი სანატორიუმი.

სურათებზე: პროექტები, რომლებიც განხორციელებას ელის: ჯავის 500-ადგილიანი სანატორიუმი „ლიახვი“ (ავტორები ე. თამრაზოვა და გ. გელაშვილი), წყალტუბოს ათასადგილიანი დეტური სახადილო (ავტორი დ. დავითაშვილი), მახინჯაურის დასასვენებელი სახლი „ნარინჯი“ (ავტორი დ. კორკოტაშვილი) და წყალტუბოს 310-ადგილიანი სანატორიუმი „სამგურალი“ (ავტორი ბ. ლიპარტელიანი).

ვლ. ბინიაშვილის ფოტო.



ქეთევანის თეატრი ტალინში

ტალინი, 17 თებერვალი. (საქინფორმის სპეც. კორ.). ესტონეთის დედაქალაქში გასტროლები დაიწყო მეტეხის სახელმწიფო ახალგაზრდულმა თეატრმა-სტუდიამ. ტალინის ახალგაზრდული თეატრის სცენაზე გასტროლების პირველ დღეს მან აჩვენა სპექტაკლების ნაწყვეტები და თეატრალიზებული წარმოდგენა — „ჩვენი შემოქმედებითი გზა“. საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით მას მეტეხელებთან შეხვედრით გამოწვეული შთაბეჭდილებები გაუზიარეს:

მარ ლოტმა — ტალინის საუკეთესო სკოლის მასწავლებელმა:

— მოძმე საქართველოს შემოქმედებით კოლექტივებთან შეხვედრა ყოველთვის დიდი და ამაღელვებელი მოვლენაა. ამჯერადაც გაგვიმართდა მოლოდინი — ასაკითაც და შემადგენლობითაც ახალგაზრდა კოლექტივმა მაღალი პროფესიული დონე გვიჩვენა. მსახიობები გულწრფელად და დამაჯერებლად თამაშობენ. საგასტროლო რეპერტუარის სპექტაკლები, რომლებიც განსხვავდებიან სტილითაც და ყანრითაც, მეტყველებენ, რომ ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივი აქტიურად ეძებს ახალ თემებსა და საინტერესო მხატვრულ გადაწყვეტებს.

შალვა გულორდავამ — ესტონეთის სსრ მთავარმა ქორეოგრაფმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა:

— ვამაყობ ჩემი თანამემამულეებით. შესანიშნავად თამაშობენ მსახიობები, საინტერესოა რეჟისურა. საქართველოსა და ესტონეთის ახალგაზრდული თეატრების კონტაქტები კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია ქართველი და ესტონელი ხალხების მეგობრობის მატიანეში.

გასტროლების დაწყების წინ ესტონეთის ტელევიზიამ მოაწყო შეხვედრა თბილისელ მსახიობებთან. იმავე დღეს ისინი მიიღო ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრმა ი. კ. იურნამ.

მეტეხის თეატრის გასტროლები 23 თებერვლამდე გასტანს. (საქინფორმი).

გმირობა არ იკარგება

ჯილდო 32 წლის შემდეგ

ოსი. (საკ. კორ.). აქ ყველა იცნობს დიდი სამამულო ომის მონაწილეს, მძიმე ქვეშეხის ყოფილ მეთაურს აკაკი კალმახელიძეს. პირველი საბრძოლო ნათლობა მან კავკასიის მთებში მიიღო. მამაცმა არტილერისტმა, დიდი და რთული გზა განვლო ჩრდილოეთ კავკასიიდან უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტამდე. ერთ-ერთი გაფთრებული ბრძოლის დროს მეთაური მძიმედ დაიჭრა და იგი სველ ჰოსპიტალში მოთავსეს. ამ სამკურნალო ნაწილმა მებრძოლის გამოკანმრთელებამდე არაერთხელ შეიცვალა ადგილსამყოფელი. მალე ომიც დამთავრდა და ა. კალმახელიძე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, საზოგადოებრივ შრომაში ჩაება.

ეს იყო ომის მიზეზი, რომ მებრძოლმა ვერ მიიღო წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომლითაც იგი ბუდაპეშტის განთავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა. მაღალი ჯილდო 32 წლის განმავლობაში ეძებდა, ელოდა გმირს და კიდეეც იპოვა.

ახლახან აკაკი კალმახელიძეს საზეიმო ვითარებაში გადაეცა წითელი ვარსკვლავის ორდენი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სამშობლო არ ივიწყებს დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, მათ, ვინც გმირულად იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის.

ვ. ციბრკიძე.

ᲛᲐᲓᲠᲐᲯᲘᲡ

პირველ დაფაზე — გლიგორიჩი

იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციის „სელექტორთა კომისიამ“ (მწვრთნელთა საბჭომ) დასახელა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 13 აპრილიდან ითამაშებს მოსკოვში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატში. ამ შეჯიბრებაში იუგოსლავიის გუნდი ვერცხლის მედლის ძირითად პრეტენდენტად ითვლება, ოქროს მედლებს კი საბჭოთა მოჭადრაკეები უწინასწარმეტყველებენ. თვითეულ გუნდში 8 ძირითადი და 2 სათადარიგო მონაწილე იქნება, ამასთან როგორც საბჭოთა, ისე იუგოსლავიის ნაკრები მთლიანად დიდოსტატებისაგან შედგება.

ეს ითამაშებდა იუგოსლავიის ნაკრებში პირველ დაფაზე — ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი, 54 წლის გლიგორიჩი თუ ლიუბოევიჩი, რომელიც ორჯერ უმცროსია, მაგრამ უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებით თამაშობს და მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაუმარჯვნია? „სელექტორთა კომისიამ“ უპირატესობა ამჯერად გლიგორიჩს მიაკუთვნა, რადგან ლიუბოევიჩი ახლა არმიაში სავალდებულო სამსახურს გადის და თითქმის არ მონაწილეობს შეჯიბრებებში (გამონაკლისის სახით მას ნება მიეცა ითამაშოს იუგოსლავიის ჩემპიონატში, რომელიც ახლა მიმდინარეობს).

გარდა გლიგორიჩისა და ლიუბოევიჩისა, გუნდში შედიან მატანოვიჩი, ივკოვი, ველიმირაოვიჩი, პარმა, ჭულაკი და ბუკიჩი. ორი ადგილი დადგმრა იუგოსლავიის ახლანდელ ჩემპიონატში გამარჯვებულებს.

გუნდში ადგილი არ აღმოჩნდა ისეთი ცნობილი დიდოსტატებისათვის, როგორც მატულოვიჩი და ჯურაიცა არიან. მატულოვიჩმა გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ (ზაგრები) კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისთვის გაუგებარია კომისიის გადაწყვეტილება, რადგან დღეისათვის საქადრაკო ძალით იგი იუგოსლავიაში მხოლოდ გლიგორიჩსა და ლიუბოევიჩს ჩამოუვარდება.

ᲝᲠᲘᲝᲚᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

კოკეი. ჩეხოსლოვაკიაში დამთავრდა მეგობრული არმიების სპარტაკიადის ტურნირი შაიბიან ჰოკეიში. **საბჭოთა ჰოკეისტებმა** (ასპარეზობაში ცსკა-ს კლუბი გამოდიოდა) დიდი ანგარაშით 17:1 დაამარცხეს ბულგარეთის არმიელთა გუნდი, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი წააგეს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის ლიდერთან იგლავას „დუკლასთან“ — 4:5, რამელმაც პირველობა მოიპოვა. ცსკა-ს ვერცხლის მედლები გადაეცა, ბრინჯაოსი — რუმინელ არმიელებს.

თბილისი. დღეს ნორვეგიის ქალაქ ვიკერსუნდში იწყება მსოფლიოს ჩემპიონატი თბილისელ ბერიონთ ტრამპლინიდან ხტომაში. ასპარეზობაში გამოვა 13 ქვეყნის 57 სპორტსმენი, მათ შორის საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურეები“ ა. ბოროვეტინი, ს. სიინოკი, ი. ივანოვი, დ. აბრამოვი, ვ. სავინი და ვ. ბუბენინოვი.

კალიფორნია. მოსკოვის „ლენინის „სპარტაკის“ ქალთა გუნდმა „ლილიან რინკეტის“ თასის ჯათამაშების საპასუხო მატჩში მოსკოვში ადგილად დამარცხა სფრანგეთის „ტულონის“ კლუბი — 131:42 (51:24).

ფიგურული სრიალი. 16 თებერვალს გამოცხადდა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მარტის პირველ დღეს მსოფლიო ჩემპიონატის სტარტს აიღებს იაპონიის დედაქალაქის სპორტის სასახლეში. ეი ვინ ფასპარეზებს ტოკიოს „ყინულზე“: ი. როდნინა და ა. ზაიცევი, მ. ჩერკასოვა და ს. შახრაი, ი. ეორობიოვა და ა. ვლასოვი, ე. ეოდორეზოვა, ვ. კოვალიოვი, კ. კოკორა, ი. ოვჩინიკოვი, ი. მოისეევა და ა. მინენკოვი, ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი, მ. ზუევა და ა. ეიტმანი.

რედაქტორი
დ. მჰელიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐᲛᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

რუსთაველის სახელობის ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977 წლის I კვარტალში

სასწავლებელი ამზადებს მეტალურგიული მრეწველობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს:

1. მარტენის ღუმელის მეფოლადის ხელშემწყობს;

2. მეტალურგიული მრეწველობის ელექტროხიდური ამწის მემანქანეს.

სასწავლებელი იღებს საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ ახალგაზრდებს და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ გოგონებს.

სასწავლებელში შეიძლება მიღებული იქნენ ავრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ვაჟები.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს მიეცემათ ატესტატი და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით მიღებული სპეციალობისა და მინიჭებული თანრიგის მიხედვით.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთა მიღება ხდება ცალკე ჯგუფებად სწავლების 8 თვის ხანგრძლივობით. სწავლების მთელ პერიოდში მათ ეძლევათ გადიდებული სტიპენდია 65-90 მანეთი (სპეციალობის მიხედვით). გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევათ 33 პროცენტი ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი ასრულებენ საწარმოო პრაქტიკის პროცესში სასწავლებლის სახელოსნოებში და საბაზო საწარმოში.

რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლების მთელ პერიოდში დაკმაყოფილებული იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებელში მიიღებიან ახალგაზრდები 25 წლამდე.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადები (სასწავლებლის დირექტორის სახელზე), 2. ავტობიოგრაფია, 3. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 4. პასპორტი, 5. დაბადების მოწმობა, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, 8. ფოტოსურათი (3X4), 6 ცალი. 9. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერილობა (სამხედრო ვალდებულებმა) უნდა წარმოდგინონ პირადად.

სასწავლებელში პირველ რიგში ჩაირიცხებიან საწარმოო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კომკავშირის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მიერ საგზურით გამოგზავნილი ახალგაზრდები, ინვალიდების შვილები, ობლები.

საბუთები მიიღება 1977 წლის 28 თებერვლამდე.

სწავლა დაიწყება 1 მარტს.

დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი მისამართით:

ქ. რუსთავი, ტაკენტის ქ. 7-ბ, მიკრორაიონი, № 94 ტექნიკური სასწავლებელი.

ტელეფონი: №№ 12-69-26; 12-69-83; 12-69-90.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე, კვირას — დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

სასწავლებლის დირექტორი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

№ 51 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პლასტმასის მწნეხავის სპეციალობით. სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-30 წლის გოგონები და ვაჟები.

მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია — 36 მანეთი. ახალგაზრდებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ შეფასება „ფრიადი“, სტიპენდიის რაოდენობა გაუდიდდებათ 45 მანეთამდე. ამასთან მოსწავლეები მიიღებენ ფულადი ანაზღაურების 33 პროცენტს საწარმოო პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოებისათვის.

სასწავლებელში ყოფნის დროს ოთვლება უფასოდ საწარმოო მუშაობის სტაჟად.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ უნდა შეიტანოთ დირექტორის სახელზე, აღნიშნოთ პროფესია. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ფოტოსურათი (3X4), ექვსი ცალი; 5. დახასიათება. პირადად უნდა წარმოადგინოთ პასპორტი, მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ შესაბამისი ატესტატი.

ყველა მოსწავლე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება საშუაოთი მიღებული სპეციალობისა და მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით.

ისინი, ვინც სასწავლებელს „ფრიადზე“ დაამთავრებს, ითუოვებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელში, მონათესავე სპეციალობებზე წარმოებას მოუწყვეტლივ, კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან, თუ მისაღებ გამოცდებზე დადებითს შეფასებას მიიღებენ.

ზემოთ აღნიშნული პირები უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში წარმოებას მოწყვეტით სასწავლებლად მიიღებიან საერთო წესით, საკალდებულო საწარმოო სტაჟის გარეშე.

ჩარიცხვა იწარმოებს წინასწარი გასაუბრებით.

საბუთების მიღება და დაწვრილებითი ცნობების დადგენა — ყოველდღე, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1977 წლის 1 მარტიდან.

მიხამართი: თბილისი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, № 51 ტექნიკური სასწავლებელი.

ავტობუსები: № 9, 11, 18, 24, 46, 48, 55, 57, 62, 63, 64, 72. ტრამვაი: № 1, 3, 11, 12. მეტრო: სადგური „დიდუბე“. ტელეფონები: № 66-18-29, 66-05-80, 66-96-68.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გაზაზე არსებული

თბილისის № 97 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977/78 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე თბილისში მცხოვრები 17-25 წლის ასაკის გოგონები და ვაჟები.

სასწავლებელი ამზადებს მმართველ-გამოთვლითი მანქანების სპეციალისტებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვასათვის“.

მოსწავლეებს, რომლებიც სასწავლებელს ფრიადზე დაამთავრებენ, უფლება ეძლევათ მისაღები გამოცდები ჩააბარონ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე საკალდებულო სტაჟის გარეშე, ხოლო საღამო და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

განცხადება შეტანილი უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად: 1) განცხადება, 2) საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 3) დაბადების მოწმობა (დედანი), 4) დახასიათება, 5) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6) 6 ცალი ფოტოსურათი 3X4-ზე, 7) ავტობიოგრაფია, 8) პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად).

სწავლების ვადა ერთი წელიწადია.

სწავლა დაიწყება 1 მარტიდან. საბუთები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 9-დან 5-საათამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში.

მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. № 3, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, ბოლო გაჩერება. ავტობუსი 49, 53, 47, 20, 2, 67, ტროლეიბუსი 4, 5,6, 11, 12, 14. ტელეფონი: 31-47-69.

სასწავლებლის დირექტორი.

ᲗᲣᲚᲕᲘᲖᲘᲐ

18 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „განკიცხულნი“. IV სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — დოკუმენტური ფილმი „ბიჭებიც დაიზარდნენ“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — მოსწავლეთათვის—ფრანგული ენა, 18.25 — მოსწავლეთათვის „დიდი გზის დასაწყისი“, 19.10 — „ლუბუსი“. ფერადი გამოსახულებით, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქერათმიანი ქალიშვილი“, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1932 წელი“. ფერადი ეკრანისახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „მუსიკალური შეხვედრები“. ფერადი გამოსახულებით.

მეორე პროგრამით

17.35 — კინონარკვევი „გზის ორივე ბოლო“, 18.00 — „მასწავლებლის საათი“ — ხაზვა. 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშენებლები“, 19.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „აურზაური სალსინეთში“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

19 თებერვალი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მოხსენება (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ჯ. როსინი. საოპერო უვერტურები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ამკვიდრებენ ახალ, პროგრესულ ტრადიციებს“, 12.15 — ო. თაქთაქიშვილი. პირველი სიმფონია, 13.15 — მღერის ანსამბლი „ვაია“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ნ. მამისაშვილი. კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 13.55 — ვ. ბოგომოლოვი. „ივანე“. რადიოდადგმა, 17.15 — მოსწავლეთათვის. კონცერტი-საუბარი „ზაქარია ფალიაშვილი“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.00 — სატირულ-უმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი“, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — სპექტაკლების ხტენები ც. წულუკიძისა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

18 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ქალის ტვირთი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **სიხარულიანი ქორწილი;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ყარამანს ქალი მოუყავს;** მინიატურების სახელმწიფო — **ფული და სიყვარული** (დასაწყისი საღამოს 9 ს.).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/შ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-67-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-53-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 09751

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.